ოქმი დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის შესახებ

წინამდებარე ოქმის მხარეები,

ითვალისწინებენ რა, გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და მართლმსაჯულების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის შესახებ 1998 წლის კონვენციის (ორჰუსის კონვენციის) მე-5 მუხლის მე-9 პუნქტს და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს,

აცნობიერებენ რა, რომ დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრები უზრუნველყოფს აღრიცხვიანობის საერთო მექანიზმის შექმნას, ამცირებს დაბინძურებას და ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, როგორც ეს აღნიშნულია ორჰუსის კონვენციის მხარეთა პირველ სხდომაზე მიღებულ ლუკას დეკლარაციაში,

მხედველობაში იღებენ რა გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის დეკლარაციის მე-10 პრინციპს,

ასევე მხედველობაში იღებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსა და განვითარების შესახებ 1992 წლის კონფერენციაზე შეთანხმებულ პრინციპებსა და ვალდებულებებს, განსაკუთრებით 21-ე დღის წესრიგის მე-19 თავის დებულებებს,

აღნიშნავენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მეცხრამეტე სპეციალურ სხდომაზე 1997 წელს მიღებულ 21-ე დღის წესრიგის შემდგომი განხორციელების პროგრამას, რომელიც შეიცავს მოწოდებას ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების უნარ-ჩვევებისა და გლობალური გარემოსდაცვითი საკითხების თაობაზე ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით,

მხედველობაში იღებენ რა მდგრადი განვითარების შესახებ 2002 წლის მსოფლიოს სამიტის განხორციელების გეგმას, რომელიც ხელს უწყობს ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ თანმიმდევრული, ინტეგრირებული ინფორმაციის სრულყოფას დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრების მეშვეობით,

მხედველობაში იღებენ რა ქიმიურ ნივთიერებათა უსაფრთხოების შესახებ სამთავრობათაშორისო ფორუმის მიერ გაწეულ სამუშაოს, კერძოდ, 2000 წლის ბაჰიას დეკლარაციას ქიმიურ ნივთიერებათა უსაფრთხოების შესახებ, 2000 წლის შემდგომ მოქმედებათა პრიორიტეტებსა და დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრს/ემისიათა ინვენტარიზაციის სამოქმედო გეგმას,

ასევე მხედველობაში იღებენ რა ქიმიურ ნივთიერებათა სათანადო მართვის ორგანიზაციათაშორისი პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს,

აგრეთვე მხედველობაში იღებენ რა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ გაწეულ სამუშაოს, კერძოდ ამ ორგანიზაციის საბჭოს რეკომენდაციას დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრების განხორციელების შესახებ, რომელშიც საბჭო მოუწოდებს წევრ ქვეყნებს დააფუძნონ და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრები,

გამოთქვამენ რა სურვილს გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო სისტემების შემუშავების გზით შექმნან ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი მოქალაქის უფლებას ცხოვრობდეს მისი ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში,

ასევე გამოთქვამენ რა სურვილს, რომ ასეთი სისტემების შემუშავებისას მხედველობაში იქნას მიღებული მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პრინციპები, ისეთი როგორიცაა ფრთხილი მიდგომის პრინციპი, რომელიც წარმოდგენილია გარემოსა და განვითარების შესახებ 1992 წლის რიოს დეკლარაციის მე-15 პრინციპში,

აცნობიერებენ რა იმ კავშირს, რომელიც არსებობს გარემოსთან დაკავშირებულ შესაბამის საინფორმაციო სისტემებსა და ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების გამოყენებას შორის,

აღნიშნავენ რა დამაბინძურებელ ნივთიერებებთან და ნარჩენებთან დაკავშირებით განხორციელებულ სხვა საერთაშორისო ინიციატივებში, მათ შორის, სტოკჰოლმის 2001 წლის კონვენციაში მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ და ბაზელის 1985 წლის კონვენციაში სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის და განთავსების შესახებ თავიანთი მონაწილეობის აუცილებლობას,

აცნობიერებენ რა, რომ ინტეგრირებული მიდგომის მიზნებია საწარმოებისა და სხვა წყაროების საქმიანობის შედეგად მიღებული დაბინძურებისა და ნარჩენების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირების გზით გარემოს დაცვის მაღალი დონის მიღწევა, ასევე მდგრადი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უვნებელი განვითარებისათვის ხელშეწყობა და ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის დაცვა,

დარწმუნებულნი არიან რა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრების, როგორც გარემოსდაცვითი საქმიანობის ხელშემწყობი და რენტაბელური მექანიზმის მაღალ ღირებულებაში დამაბინძურებელთა დასახლებულ ადგილებში გაშვებისა და მათი გადატანის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის, დაბინძურების შემცირების და მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებების შესრულებაზე მონიტორინგის დაწესების მიზნით, ასევე პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და გარემოსდაცვითი

პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების საშუალებით მიღწეული პროგრესის შეფასების თვალსაზრისით,

სწამთ რა, რომ დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრები შესამჩნევ სარგებელს მოუტანს მრეწველობას დამაბინძურებელთა მართვის გაუმჯობესების საშუალებით,

აღნიშნავენ რა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრებში არსებული მონაცემების, ასევე ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის, დემოგრაფიული, ეკონომიკური თუ სხვა სახის შესაბამისი ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას პოტენციური პრობლემების უკეთ შეცნობის, "ცხელი წერტილების" გამოვლენის, პრევენციული და შემამსუბუქებელი ღონისძიებების მიღების და გარემოსდაცვითი მართვის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით,

აცნობიერებენ რა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრებისთვის მიწოდებული ინფორმაციის დამუშავებისას იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობას მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად,

ასევე აცნობიერებენ რა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნულ რეესტრთა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სისტემების შემუშავების მნიშვნელობას მონაცემთა შედარების ხარისხის ასამაღლებლად,

აღნიშნავენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის მრავალი წევრი სახელმწიფო, ევროპის გაერთიანება და ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მონაწილე მხარეები მუშაობენ სხვადასხვა წყაროებიდან დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და აღნიშნულ მონაცემთა საზოგადოებისათვის მიწოდების მიმართულებით, და აცნობიერებენ რა ამ საკითხში მთელ რიგ სახელმწიფოთა ხანგრძლივ და მნიშვნელოვან გამოცდილებას,

მხედველობაში იღებენ რა განსხვავებულ მიდგომებს, რომლებიც არსებობს ემისიების აღრიცხვის რეესტრებთან დაკავშირებით და დუბლირების თავიდან აცილების აუცილებლობას, და ამდენად აცნობიერებენ რა, განსაზღვრული ხარისხის ელასტიურობის მიღწევის აუცილებლობას,

სურთ რა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრების პროგრესული განვითარება,

ასევე სურთ რა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნულ რეესტრებსა და დამაბინძურებელთა გარემოში მოხვედრის სხვა საინფორმაციო სისტემებს შორის კავშირების დამყარება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
მიზანი

წინამდებარე ოქმის მიზანია უზრუნველყოს ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ თანმიმდევრული, ინტეგრირებული და ეროვნული რეესტრების შექმნის გზით, წინამდებარე ოქმის დებულებათა შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს როგორც საზოგადოების მონაწილეობას გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებასა და შემცირებას.

მუხლი 2
განსაზღვრებები

წინამდებარე ოქმის მიზნებისათვის,

1. "მხარე" ნიშნავს, თუ ტექსტში სხვაგვარად არ არის მითითებული, 24-ე მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფოს ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციას, რომელმაც გამოხატა ვალდებულებების აღების სურვილი წინამდებარე ოქმის ფარგლებში და რომლისთვისაც ძალაშია წინამდებარე ოქმი;

2. "კონვენცია" ნიშნავს კონვენციას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და საზოგადოებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც მიღებულია ორჰუსში, დანიაში, 1998 წლის 25 ივნისს;

3. “საზოგადოება” ნიშნავს ერთ ან მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან, ეროვნული კანონმდებლობის ან მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, ამგვარი პირების ასოციაციას, ორგანიზაციას ან ჯგუფს;

4. “საწარმო” ნიშნავს ერთს ან რამოდენიმე მოწყობილობას ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ან გაერთიანებულ ტერიტორიებზე, რომლის მეპატრონე ან მმართველი არის ერთი და იგივე ფიზიკური ან იურიდიული პირი;

5. “უფლებამოსილი ორგანო” ნიშნავს სახელმწიფო ორგანოს ან ორგანოებს, ან ნებისმიერ სხვა უფლებამოსილ უწყებას ან უწყებებს, რომლებიც დანიშნულია მხარის მიერ დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის მართვის მიზნით;

6. “დამაბინძურებელი” ნიშნავს ნივთიერებას ან ნივთიერებათა ჯგუფს რომლებიც, მათი თვისებებიდან გამომდინარე და მათი გარემოში გაშვებისას, შესაძლოა მავნე იყოს გარემოსთვის და ადამიანთა ჯანმრთელობისთვის;

7. “გარემოში გაშვება” ნიშნავს ადამიანთა საქმიანობის შედეგად დამაბინძურებელთა ნებისმიერი სახით გამონთავისუფლებას გარემოში, იქნება ეს წინასწარ განზრახული თუ ავარიული, მოხდება ეს ყოველდღიურად თუ არა, გაშხეფების, გაფრქვევის, ჩაშვების, ჩაჟონვის, განთავსებისა და დაყრის ჩათვლით, ანდა საკანალიზაციო სისტემის გავლით, იმ შემთხვევაში თუ არ ხდება ჩამდინარე წყლის საბოლოო გაწმენდა;

8. “ტერიტორიის გარეთ გადატანა” ნიშნავს საბოლოო განთავსებისთვის ან აღდგენისთვის განკუთვნილი დამაბინძურებელი ნივთიერებების ან ნარჩენის და გაწმენდისთვის განკუთვნილ ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების საწარმოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადაადგილებას;

9. “დიფუზური წყაროები” ნიშნავს ბევრ მცირე ზომის ან განცალკევებულად არსებულ წყაროებს, რომელთაგანაც დამაბინძურებლები შესაძლოა მოხვდეს მიწაში, ჰაერში ან

წყალში და რომელთა ერთიანი ზემოქმედება გარემოს აღნიშნულ სფეროებზე შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. ამასთან, შესაძლოა არაპრაქტიკული აღმოჩნდეს მონაცემთა შეკრება ცალკეულ მათგანზე;

10. ტერმინები "ეროვნული" და "საერთო ეროვნული", ოქმის იმ მხარეთათვის დაკისრებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციებს, ნიშნავს რეგიონს, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული;

11. "ნარჩენი" ნიშნავს ნივთიერებებს ან საგნებს, რომლებიც უნდა იქნას:

(a) განთავსებული ან აღდგენილი;

(b) სავარაუდოდ განთავსებული ან აღდგენილი;

(c) ეროვნული კანონმდებლობის დებულებების მოთხოვნებიდან გამომდინარე განთავსებული ან აღდგენილი;

12. "სახიფათო ნარჩენი" ნიშნავს ნარჩენს, რომელიც განისაზღვრება როგორც სახიფათო ეროვნული კანონმდებლობის დებულებებით;

13. "სხვა ნარჩენი" ნიშნავს ნარჩენს, რომელიც არ არის სახიფათო;

14. "ჩამდინარე წყალი" ნიშნავს გამოყენებულ წყალს, რომელიც შეიცავს იმ დამაბინძურებელ ნივთიერებებსა და საგნებს, რომლებსაც არეგულირებს ეროვნული კანონმდებლობა.

მუხლი 3
ზოგადი დებულებები

1. თითოეულმა მხარემ უნდა გაატაროს აუცილებელი საკანონმდებლო და სარეგულაციო ღონისძიებები, და კანონაღსრულების სხვა შესაბამისი ღონისძიებები წინამდებარე ოქმის დებულებების განსახორციელებლად.

2. წინამდებარე ოქმის დებულებები არ ზღუდავს ნებისმიერი მხარის უფლებას, შექმნას და აწარმოოს დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ისეთი რეესტრი, რომელიც უფრო ყოვლისმომცველი და ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის, ვიდრე წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული რეესტრი.
3. თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხდეს საწარმოს იმ თანამშრომელთა და საზოგადოების წარმომადგენელთა დასჯა, დევნა და შევიწროება, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებს აწვდიან ინფორმაციას იმ ეროვნული კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფილია წინამდებარე ოქმის შესრულება.
4. წინამდებარე ოქმის განხორციელებისას, თითოეულმა მხარემ უნდა იხელმძღვანელოს ფრთხილი მიდგომით, როგორც ეს წარმოდგენილია გარემოსა და განვითარების შესახებ 1992 წლის რიოს დეკლარაციის მე-15 პრინციპში.
5. ორმაგი ანგარიშგების შესამცირებლად, დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის სისტემები შესაძლოა ინტეგრირებულ იქნას ინფორმაციის არსებულ წყაროებთან, როგორებიცაა სალიცენზიო და საქმიანობაზე ნებართვის ანგარიშგების მექანიზმები.
6. მხარეები შეეცდებიან მიაღწიონ თანხვედრას დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნულ რეესტრებს შორის.

მუხლი 4

დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის ძირითადი ელემენტები

წინამდებარე ოქმის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა შექმნას და აამოქმედოს დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი რეესტრი, რომელიც:

(a) ასახავს საწარმოების საქმიანობას სტაციონარული წყაროების შესახებ წარდგენილ ანგარიშებში;

(b) ასახავს აგრეთვე ანგარიშებს დიფუზიური წყაროების შესახებ;

(c) განსაზღვრავს დამაბინძურებელ ნივთიერებებს ან ნარჩენებს, საჭიროების მიხედვით;

(d) იქნება მრავალმხრივი და ერთმანეთისაგან გამიჯნულად წარმოადგენს დამაბინძურებლების გაშვებას ჰაერში, მიწასა და წყალში;

(e) მოიცავს ინფორმაციას დამაბინძურებელთა გადატანის შესახებ;

(f) დაფუძნებული იქნება ანგარიშების სავალდებულო წესით წარდგენაზე განსაზღვრული პერიოდულობით;

(g) მოიცავს სტანდარტიზებულ და დროულად წარდგენილ მონაცემებს, სტანდარტიზებული ზღვრული მნიშვნელობების შეზღუდულ რაოდენობასა და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ დებულებებს, თუ ასეთი არსებობს;

(h) იქნება თანმიმდევრული, ადვილად გამოსაყენებელი და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, მისი ელექტრონული ვერსიის ჩათვლით;

(i) საზოგადოებას მისცემს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს მის შემუშავებასა და მოდიფიკაციაში; და

(j) ექნება სტრუქტურული კომპიუტერიზებული მონაცემთა ბაზის სახე ან მოიცავს რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზას, რომელთა ფუნქციონირებაც ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

მუხლი 5
ფორმა და სტრუქტურა

1. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მე-4 მუხლის თანახმად რეესტრზე განთავსებული მონაცემები წარმოდგენილ იქნას როგორც გაერთიანებული, ასევე გაუერთიანებელი ფორმით ისე, რომ შესაძლებელი გახდეს დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის გამოკვლევა და დადგენა შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

(a) საწარმო და მისი გეოგრაფიული მდებარეობა;

(b) საქმიანობა;

(c) მფლობელი ან მმართველი, და, საჭიროების შემთხვევაში, კომპანია;

(d) დამაბინძურებელი ნივთიერება ან მისი ნარჩენი;

(e) გარემოს ის ნაწილი, სადაც ხდება დამაბინძურებელი ნივთიერებების გაშვება;

(f) როგორც ეს მოყვანილია მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში, გადატანის საბოლოო დანიშნულების ადგილი და, საჭიროების შემთხვევაში, განთავსებისა და აღდგენის ოპერაციები.

2. თითოეულმა მხარემ ასევე უნდა უზრუნველყოს მონაცემთა მოძიება და დადგენა რეესტრში შეტანილი დიფუზიური წყაროების მიხედვით.

3. თითოეულმა მხარემ თავისი რეესტრი უნდა მოამზადოს მომავალში მისი გაფართოების შესაძლებლობის გათვალისწინებით და უზრუნველყოს არა ნაკლებ ბოლო ათი წლის მონაცემთა საზოგადოებისთვის გაცნობა.

4. რეესტრის დიზაინი ისე უნა იქნას შერჩეული, რომ იგი საზოგადოებისათვის მაქსიმალურად ადვილად ხელმისაწვდომი იყოს, რასაც უზრუნველყოფს ისეთი ელექტრონული საშუალებების გამოყენება, როგორიცაა ინტერნეტი. ნორმალურ სამუშაო პირობებში, დიზაინი რეესტრზე განთავსებული ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებით უწყვეტად და დაუყოვნებლივ გადაცემის საშუალებას უნდა იძლეოდეს.

5. თითოეულ მხარეს შეუძლია თავის რეესტრში გააკეთოს მითითება გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებით არსებული და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების შესახებ.

6. თითოეულმა მხარემ თავის რეესტრში უნდა გააკეთოს მითითება წინამდებარე ოქმის მონაწილე სხვა მხარეების და ასევე სხვა ქვეყნების რეესტრებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებასა და გადატანას.

მუხლი 6

რეესტრის ფარგლები

1. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი რეესტრი მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

(a) იმ დამაბინძურებელ ნივთიერებათა გარემოში გაშვება, რომელთა შესახებაც წარდგენილ უნდა იქნას ანგარიში მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

(b) ტერიტორიის გარეთ გადატანა, რის შესახებაც წარდგენილ უნდა იქნას ანგარიში მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, და

(c) დიფუზიური წყაროებიდან იმ დამაბინძურებელ ნივთიერებათა გარემოში გაშვება, რომელთა შესახებაც წარდგენილ უნდა იქნას ანგარიში მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

2. შეაფასებს რა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის შემუშავებისა და წინამდებარე ოქმის განხორციელების საფუძველზე მიღებულ გამოცდილებას, და გაითვალისწინებს რა შესაბამის საერთაშორისო პროცედურას, მხარეთა შეხვედრა განიხილავს ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ამ ოქმის ფარგლებში და შემდეგ საკითხებს:

(a) დანართ I – ში ჩამოყალიბებულ საქმიანობათა შემოწმება;

(b) დანართ II – ში ჩამოყალიბებულ დამაბინძურებელთა შემოწმება;

(c) დანართებ I და II – ში მოცემული ზღვრული მნიშვნელობების შემოწმება; და

(d) სხვა შესაბამისი ასპექტების ასახვა, როგორიცაა ინფორმაცია ტერიტორიის შიგნით გადატანაზე და შენახვაზე, დიფუზიური წყაროების შესახებ ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებული მოთხოვნების სპეციფიკაცია ან წინამდებარე ოქმის ფარგლებში განსაზღვრული დამაბინძურებლებისთვის კრიტერიუმების შემუშავება.

მუხლი 7
საანგარიშგებო მოთხოვნები

1. თითოეული მხარე:

(a) მოსთხოვს მის იურისდიქციაში მყოფი თითოეული ცალკეული საწარმოს მფლობელს ან მმართველს, რომელიც ეწევა დანართ I – ში მოყვანილ ერთს ან მეტ ისეთი სახის საქმიანობას, რომელიც აღემატება ამავე დანართის I სვეტში მოყვანილ ზღვრულ მოცულობას, და:

(i) ახდენს დანართ II – ში მოყვანილი რომელიმე დამაბინძურებლის გარემოში გაშვებას იმ რაოდენობით, რომელიც აღემატება II დანართის I სვეტში მოყვანილ ზღვრულ მნიშვნელობას;

(ii) ტერიტორიის გარეთ გააქვს დანართ II – ში მოყვანილი რომელიმე დამაბინძურებელი იმ რაოდენობით, რომელიც აღემატება II დანართის მე-2 სვეტში მოყვანილ ზღვრულ მნიშვნელობას, იმ შემთხვევაში თუ მხარე ირჩევს დამაბინძურებლების გადატანის შესახებ ანგარიშის წარდგენას მე-5 (d) პუნქტის შესაბამისად;

(iii) ტერიტორიის გარეთ გააქვს წელიწადში 2 ტონაზე მეტი რაოდენობით დაგროვილი სახიფათო ნარჩენი და სხვა ნარჩენი 2 000 ტონაზე მეტი რაოდენობით, იმ შემთხვევაში თუ მხარე ირჩევს ნარჩენების გადატანის შესახებ ანგარიშის წარდგენას მე-5 (d) პუნქტის შესაბამისად; ან

(iv) ტერიტორიის გარეთ გააქვს დანართ II – ში მოყვანილი რომელიმე დამაბინძურებელი ჩამდინარე წყლის საშუალებით, რომელიც საჭიროებს სათანადო დამუშავებას იმ რაოდენობით, რომელიც აღემატება II დანართის 1b სვეტში მოყვანილ ზღვრულ მნიშვნელობას;

აიღოს ვალდებულება, რომელიც ეკისრება ამ მფლობელს ან მმართველს მე-2 პუნქტის თანახმად; ან

(b) მოსთხოვს მის იურისდიქციაში მყოფი თითოეული ცალკეული საწარმოს მფლობელს ან მმართველს, რომელიც ეწევა დანართ I – ში მოყვანილ ერთს ან მეტ ისეთ საქმიანობას, რომელში მონაწილე თანამსრომელთა რიცხვიც შეესაბამება ან აღემატება ამავე დანართის II სვეტში მოყვანილ თანამშრომელთა რაოდენობას და რომელიც აწარმოებს, ამუშავებს ან მოიხმარს II დანართის ნებისმიერ დამაბინძურებელს ამავე დანართის მე-3 სვეტში მოყვანილი ზღვრული მნიშვნელობის ზემოთ, აიღოს

ვალდებულება, რომელიც ეკისრება ამ მფლობელს ან მმართველს მე-2 პუნქტის თანახმად.

2. თითოეული მხარე მოითხოვს, რათა I პუნქტში მოხსენიებული საწარმოს მფლობელმა ან მმართველმა წარმოადგინოს მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია იმ დამაბინძურებლებისა და ნარჩენების შესახებ, რომელთა ზღვრული მოცულობაც გადამეტებულ იქნა.
3. წინამდებარე ოქმის მიზნის მისაღწევად მხარემ შეიძლება კონკრეტულ დამაბინძურებელთან დაკავშირებით დააწესოს მისი გარემოში გაშვების ზღვარი, ასევე წარმოების, დამუშავებისა და მოხმარების ზღვრები, იმ პირობით, რომ ეს გაზრდის შესაბამის ინფორმაციას გარემოში იმ დამაბინძურებლების გაშვების ან გადატანის შესახებ, რომლებიც მის რეესტრშია მოყვანილი.
4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მისმა უფლებამოსილმა ორგანომ მოაგროვოს ან დანიშნოს უფლებამოსილი ორგანო ან უწყება, რათა მან მოაგროვოს მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია დიფუზიური წყაროებიდან დამაბინძურებლების გარემოში გაშვების შესახებ, ამ ინფორმაციის რეესტრზე განთავსების მიზნით.
5. თითოეული მხარე მოსთხოვს იმ საწარმოების მფლობელებს ან მმართველებს, რომლებიც ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ანგარიში მე-2 პუნქტის შესაბამისად, რათა მათ სრულყოფილი სახე მისცენ და წარუდგინონ უფლებამოსილ ორგანოს შემდეგი ინფორმაცია ცალკეულ საწარმოსთან დაკავშირებით:

(a) დასახელება, მისამართი, გეოგრაფიული მდებარეობა და საქმიანობის ან იმ საქმიანობათა აღწერა, რომელსაც ეწევა საწარმო, აგრეთვე მფლობელის ან მმართველის, და სადაც საჭიროა, კომპანიის სახელი;

(b) თითოეული იმ დამაბინძურებელი ნივთიერების დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელთან დაკავშირებითაც სავალდებულოა ანგარიშის წარდგენა მე-2 პუნქტის შესაბამისად;

(c) საანგარიშგებო წლის განმავლობაში საწარმოდან გარემოში გაშვებული თითოეული იმ დამაბინძურებელი ნივთიერების რაოდენობა, რომელზეც სავალდებულოა ანგარიშის

წარდგენა მე-2 პუნქტის შესაბამისად, მონაცემები უნდა ასახავდეს როგორც დამაბინძურებლების გარემოში გაშვების მთლიან მოცულობას, ასევე მათი ჰაერში, წყალში და მიწაში გაშვების ცალკეულ მოცულობებს, მიწისქვეშა გაჟონვის ჩათვლით;

(d) ან:

(i) საანგარიშგებო წლის განმავლობაში ტერიტორიის გარეთ გადატანილი თითოეული იმ დამაბინძურებელი ნივთიერების რაოდენობა, რომელზეც სავალდებულოა ანგარიშგება მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო განთავსებისთვის და აღდგენისთვის განკუთვნილი რაოდენობების ცალ-ცალკე ჩვენებით, აგრეთვე გადატანილი ნივთიერების მიმღები საწარმოს დასახელება და მისამართი; ან

(ii) საანგარიშგებო წლის განმავლობაში ტერიტორიის გარეთ გადატანილი ნარჩენის რაოდენობა, რომელზეც სავალდებულოა ანგარიშგება მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახიფათო ნარჩენისა და სხვა ნარჩენის ცალ-ცალკე მითითება, საბოლოო განთავსების ან აღდგენის თითოეული ოპერაცია უნდა აღინიშნოს შესაბამისად “R” და “D” ნიშნებით, III დანართის შესაბამისად, სახიფათო ნარჩენის ტრანსსასაზღვრო მოძრაობისას უნდა აღინიშნოს ნარჩენის განმთავსებლის ან აღმდგენის და გადატანილი ნარჩენის უშუალო მიღების ადგილის დასახელება და მისამართი.

(e) საანგარიშგებო წლის განმავლობაში ტერიტორიის გარეთ გადატანილი თითოეული დამაბინძურებელი ნივთიერების რაოდენობა ჩამდინარე წყალში, რომელზეც სავალდებულოა ანგარიშგება მე-2 პუნქტის შესაბამისად; და

(f) (c)-დან (e)-მდე ქვეპუნქტებში განხილული ინფორმაციის მიღებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგიის ტიპი მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იმის მითითებით, რომ ეს ინფორმაცია დაფუძნებულია გაზომვებზე, გათვლებზე ან შეფასებაზე.

6. მე-5 (c)- დან (e)-მდე პუნქტში განხილული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის, ისე ექსტრაორდინალური მოვლენების შედეგად დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ ინფორმაციას.

7. თითოეული მხარე თავისი რეესტრის შესაბამის დანაყოფში შეიტანს ინფორმაციას დიფუზიური წყაროებიდან დამაბინძურებლების გარემოში გაშვების შესახებ. ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს მონაცემები შეკრებილია შესაბამისი ორგანოების მიერ და რომ მათი განთავსება რეესტრში პრაქტიკულად შესაძლებელია. როდესაც მხარე დაადგენს, რომ ასეთი მონაცემები არ არსებობს, მან ზომები უნდა მიიღოს, რათა დაიწყოს მონაცემთა მოპოვება და ანგარიშების წარდგენა, ერთი ან მეტი დიფუზიური წყაროდან დამაბინძურებლების გარემოში გაშვების შესახებ, ამ მხარისათვის განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით.
8. მე-7 პუნქტში განხილულ ინფორმაციაში აღნიშნულ უნდა იქნას მონაცემთა მიღებისას გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ.

მუხლი 8
საანგარიშგებო ციკლი

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს თავის რეესტრზე განთავსებული ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას, შეგროვებას და რეესტრზე განთავსებას კალენდარული წლისათვის. საანგარიშგებო წელი არის ის კალენდარული წელი, რომელსაც ეს ინფორმაცია შეეხება. თითოეული მხარისათვის პირველი საანგარიშგებო წელი არის ის კალენდარული წელი, რომელიც დადგება ამ მხარისთვის ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ. მე-7 მუხლის თანახმად ანგარიშგება ყოველწლიურია. მეორე საანგარიშგებო წელი შესაძლოა იყოს მეორე კალენდარული წელი, რომელიც პირველ საანგარიშგებო წელს მოჰყვება.
2. თითოეულმა იმ მხარემ, რომელიც არ წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციას, უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის განთავსება რეესტრზე თხუთმეტი თვის განმავლობაში ყოველი საანგარიშგებო წლის დასრულებიდან. თუმცა, პირველი საანგარიშგებო წლის ინფორმაცია განთავსებულ უნდა იქნას რეესტრზე ორი წლის განმავლობაში ამ საანგარიშგებო წლის დასრულებიდან.

3. თითოეულმა იმ მხარემ, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციას, უნდა უზრუნველყოს კონკრეტული საანგარიშგებო წლისთვის ინფორმაციის განთავსება რეესტრზე ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ამას შეასრულებენ ის მხარეები, რომლებიც არ წარმოადგენენ ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციებს.

მუხლი 9
მონაცემთა შეგროვება და შენახვა

1. თითოეული მხარე მოსთხოვს იმ საწარმოების მფლობელებს ან მმართველებს, რომლებიც ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ანგარიში მე-7 მუხლის საანგარიშგებო მოთხოვნების შესაბამისად, შეაგროვონ ის მონაცემები, მე -2 პუნქტის შესაბამისად და სათანადო პერიოდულობით, რომლებიც შეეხება საწარმოდან დამაბინძურებლების გარემოში გაშვებასა და გადატანას და მისცეს უფლებამოსილ ორგანობს ამ ინფორმაციით სარგებლობის შესაძლებლობა 5 წლის განმავლობაში. ამ პერიოდის ათვლა დაიწყება შეაბამისი საანგარიშგებო წლის ბოლოდან. აღნიშნულ მონაცემებში უნდა აისახოს მონაცემთა შეგროვების დროს გამოყენებული მეთოდიკა,
2. თითოეული მხარე მოითხოვს, რომ იმ საწარმოების მფლობელებმა ან მმართველებმა, რომლებიც ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ანგარიში მე-7 მუხლის საანგარიშგებო მოთხოვნების შესაბამისად, გამოიყენონ საუკეთესო ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელშიც შესაძლოა აისახოს მონიტორინგის მონაცემები, ემისიის ფაქტორები, მასური ბალანსის ფორმულა, არაპირდაპირი მონიტორინგი ან სხვა გამოთვლები, საინჟინრო შეფასებები და სხვა მეთოდები. შესაძლებლობის შემთხვევაში, ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება საყოველთაოდ აღიარებული მეთოდოლოგიების შესაბამისად.

მუხლი 10
ხარისხის შეფასება

1. თითოეული მხარე მოსთხოვს იმ საწარმოების მფლობელებს ან მმართველებს, რომლებიც ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ანგარიში მე-7 მუხლის I პუნქტის საანგარიშგებო მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყონ იმ ინფორმაციის ხარისხი, რომელსაც ისინი გადმოსცემენ.
2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მის რეესტრზე განთავსებული მონაცემების ხარისხობრივი შემოწმება, განსაკუთრებით მისი სისრულის, თანმიმდევრულობისა და სარწმუნოობის თვალსაზრისით, იმ დირექტივების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა შემუშავებულ იქნას მხარეთა შეხვედრების მიერ.

მუხლი 11

ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა

1. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრზე განთავსებული ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა, მათი დაინტერესების დასაბუთების გარეშე და წინამდებარე ოქმის დებულებების შესაბამისად, ტელესაკომუნიკაციო ქსელის საშუალებით რეესტრთან ელექტროკავშირის დამყარების გზით.
2. როდესაც რეესტრზე განთავსებული რაიმე კონკრეტული ინფორმაცია არ არის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი პირდაპირი ელექტრონული საშუალებებით, მხარემ უნდა უზრუნველყოს მისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება ნებისმიერი სხვა ეფექტური საშუალებით შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში და არაუგვიანეს ერთი თვისა მოთხოვნის წარდგენიდან.
3. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მის რეესტრზე განთავსებული ინფორმაციის უფასოდ მიღება, მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.
4. თითოეულ მხარეს შეუძლია უფლებამოსილ ორგანოს მისცეს მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონკრეტული ინფორმაციის მომზადებისთვის და გაგზავნისთვის

საფასურის დაწესების უფლება, მაგრამ ეს საფასური არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ ფარგლებს.

5. როდესაც რეესტრზე განთავსებული რაიმე ინფორმაცია არ არის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი პირდაპირი ელექტრონული საშუალებებით, მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი რეესტრის ელექტრონული ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის მოსახერხებელ ადგილებში, მაგალითად, საჯარო ბიბლიოთეკებში, ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლობებში ან სხვა შესაფერის ადგილებში.

მუხლი 12
კონფიდენციალურობა

1. თითოეულ მხარეს აქვს უფლება აღჭურვოს უფლებამოსილი ორგანოები რეესტრში შენახული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის უფლებით, თუ ამ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება უარყოფითად იმოქმედებს შემდეგზე:

   (a) საერთაშორისო ურთიერთობები, სახელმწიფო თავდაცვა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება;

   (b) სამართალწარმოება, სამართლიანი მართლმსაჯულებით სარგებლობის უფლება ან სახელმწიფო ორგანოების მიერ სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური ხასიათის მოკვლევის ჩატარების უნარი;

   (c) კომერციული და სამეწარმეო ინფორმაციის კონფიდენციალურობა, როდესაც ეს კონფიდენციალურობა დაცულია კანონმდებლობით, რაც მიზნად ისახავს კანონიერი ეკონომიკური ინტერესების დაცვას;

   (d) ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;

   (e) ფიზიკური პირის პირადი მონაცემების და/ან დოკუმენტების კონფიდენციალურობა, თუ ეს პირი არ არის თანახმა ამ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებაზე, მაშინ როცა ამგვარი კონფიდენციალურობა დაცულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

კონფიდენციალურობის დაცვის ზემოთმოყვანილი საფუძვლები ექვემდებარება შეზღუდვებს; გათვალისწინებული უნდა იყოს ის საზოგადოებრივი ინტერესი, რომელსაც ემსახურება ინფორმაციის გამოქვეყნება და ის, თუ რამდენად ეხება ეს ინფორმაცია გარემოში დამაბინძურელების მოხვედრას.

2. პირველი (c) პუნქტის ფარგლებში, ნებისმიერი ინფორმაცია გარემოში დამაბინძურებელთა მოხვედრის შესახებ, რომელიც ემსახურება გარემოს დაცვის ინტერესებს, უნდა დაექვემდებაროს გამოქვეყნებას, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად.

3. პირველი პუნქტის შესაბამისად ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შემთხვევაში რეესტრში უნდა მიეთითოს, თუ რა სახის ინფორმაცია იყო დაფარული, მაგალითად, თუ შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას საერთო ინფორმაცია ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ, და რა მიზეზით იყო ეს ინფორმაცია დაფარული.

მუხლი 13

საზოგადოების მონაწილეობა დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრების განვითარებაში

1. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში, დამაბინძურებელთა გარემოში მოხვედრის და გადატანის რეესტრების განვითარებაში საზოგადოების მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.
2. პირველი პუნქტის მიზნებისათვის, თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დამაბინძურებელთა გარემოში მოხვედრის და გადატანის ეროვნულ რეესტრებთან დაკავშირებით მისაღები ზომების შესახებ ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი კომენტარის, ინფორმაციის, ანალიზის ან აზრის წარდგენის შესაძლებლობა; ხელისუფლების შესაბამისმა

ორგანომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოების ამგვარი მონაწილეობის მნიშვნელობას.

3. რეესტრის შექმნის ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილებისა და მისი მიღების საფუძვლების გაცნობა საზოგადოებისთვის.

მუხლი 14
მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

1. თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში, თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერმა პირმა მიმართოს სასამართლოს ან მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ უწყებას, იმ შემთხვევაში თუ მის მიერ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განხორციელებული ინფორმაციის მოთხოვნა, ნაწილობრივ ან მთლიანად, იქნა უგულვებელყოფილი, უსაფუძვლოდ უარყოფილი, შეუსაბამოდ გაეცა პასუხი ან სხვაგვარად დაირღვა მითითებული პუნქტის დებულება.
2. პირველი პუნქტის მოთხოვნები არ უნდა არღვევდეს მხარეებს შორის იმ შეთანხმებებით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამოიყენება და არეგულირებს მათ შორის იმ ურთიერთობებს, რასაც ეხება ეს მუხლი.

მუხლი 15
შესაძლებლობათა გაძლიერება

1. თითოეულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების მიერ დამაბინძურებელების გარე-მოში მოხვედრის და გადატანის რეესტრის გაცნობას და უზრუნველყოს შესაბამისი მხარდაჭერა და ხელმძღვანელობის გაწევა, აღნიშნული რეესტრის ხელმისაწვდომობისა და მასში განთავსებული ინფორმაციის გაგებისა და გამოყენების თვალსაზრისით.

2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს პასუხისმგებელი ორგანოებისთვის ხელმძღვანელობის გაწევა, რათა დაეხმაროს მათ ამ ოქმის შესაბამისად თავიანთი ვალდებულებების შესრულებაში.

მუხლი 16
საერთაშორისო თანამშრომლობა

1. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ და დაეხმარონ ერთმანეთს:
   (a) საერთაშორისო ღონისძიებების განხორციელებაში ამ ოქმის მიზნების მხარდასაჭერად;
   (b) მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ამ ოქმის განსახორციელებელი სისტემების შექმნაში;
   (c) ამ ოქმის შესაბამისად, დამაბინძურებელთა გარემოში მოხვედრისა და მოსაზღვრე ტერიტორიებზე გადატანის შესახებ ინფორმაციის გაცვლაში;
   (d) ამ ოქმის თანახმად, მხარეთა შორის დამაბინძურებელთა გადატანის შესახებ ინფორმაციის გაცვლაში.
2. მხარეები, ხელს უნდა უწყობდნენ ერთმანეთთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში:

   (a) საერთაშორისო დონეზე საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება;
   (b) ტექნოლოგიების გადაცემა;
   (c) ამ ოქმთან დაკავშირებულ საკითხებში, ტექნიკურ დახმარება იმ მხარეებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

მუხლი 17
მხარეთა შეხვედრა

1. მოცემული ოქმი აფუძნებს მხარეთა შეხვედრას. მისი პირველი სხდომა უნდა შედგეს ოქმის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 2 წლისა, რის შემდეგაც მხარეთა შეხვედრის ჩვეულებრივი სხდომები უნდა მოეწყოს კონვენციის მხარეთა შეხვედრების შემდგომ ან პარალელურად, ვიდრე ოქმის მხარეები სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. მხარეთა შეხვედრა გამართავს რიგგარეშე სხდომებს, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილება იქნება მიღებული მიმდინარე სხდომაზე, ან ნებისმიერი მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივნის მიერ ამ მოთხოვნის გავრცელებიდან 6 თვის განმავლობაში, ამ მოთხოვნას მხარს დაუჭერს მხარეთა არა ნაკლებ 1/3-ისა.
2. მხარეთა რეგულარული ანგარიშგების საფუძველზე, მხარეების შეხვედრას მუდმივი განხილვის საგანად უნდა ჰქონდეს ამ ოქმის განხორციელება და განვითარება. ამ მიზნის გათვალისწინებით მან უნდა:
   (a) განიხილოს რეესტრების განვითარება და ხელი შეუწყოს მათ სრულყოფას და მონაცემთა თანხვედრას;
   (b) დაამყაროს წესები, რომლებიც გაუადვილებს მხარეებს ანგარიშგებას, ამ საკითხში დუბლირების თავიდან ასაცილებლად;
   (c) შექმნას სამუშაო პროგრამა;
   (d) გაითვალისწინოს და საერთაშორისო თანამშრომლობის გასაძლიერებლად, საჭიროების შესაბამისად იმოქმედოს მე-16 მუხლის თანახმად;
   (e) შექმნას ისეთი დამხმარე ორგანოები, როგორებსაც ჩათვლის საჭიროდ;
   (f) განიხილოს და მიიღოს ამ ოქმების ცვლილებების და მისი დანართების პროექტები, რომლებიც იქნება მიჩნეული აუცილებლად ამ ოქმების მიზნებისათვის, მე-20 მუხლის დებულებების შესაბამისად;
   (g) თავის პირველ სხდომაზე განიხილოს და კონსენსუსით მიიღოს თავისი და თავისი დამხმარე ორგანიზაციების სხდომების საპროცედურო წესები,

კონვენციის მხარეთა შეხვედრაზე მიღებული საპროცედურო წესების გათვალისწინებით;

(h) განიხილოს ფინანსური შეთანხმებების დადება კონსენსუსის საფუძველზე და ტექნიკური დახმარების მექანიზმები ამ ოქმის განხორციელების გასაადვილებლად;

(i) ისარგებლოს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მომსახურებით, ამ ოქმის მიზნების მისაღწევად;

(j) განიხილოს და გაატაროს ოქმის მიზნების მისაღწევად საჭირო დამატებითი ღონისძიებები, როგორიცაა ისეთი დირექტივებისა და რეკომენდაციების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს ოქმის განხორციელებას.

3. დამაბინძურებელთა გადატანის შესახებ ანგარიშების წარდგენისას მხარეთა შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს დამაბინძურებელ ნივთიერებებსა და ნარჩენებთან დაკავშირებით შემუშავებული ორი სხვადასხვა მეთოდის გამოყენების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე ინფორმაციის გაცვლას და უნდა განიხილოს ეს გამოცდილება იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაძლებელია ამ ორი მეთოდის თანხვედრა, პირველი მუხლის შესაბამისად საზოგადოების ინფორმაციით დაინტერესებისა და დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრების საერთო სარგებლიანობის მხედველობაში მიღებით.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი სპეციალური სააგენტოები და ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, ისევე, როგორც ნებისმიერი სახელმწიფო ან ეკონომიური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაცია, რომელსაც, 24-ე მუხლის თანახმად, აქვს უფლება მოაწეროს ხელი ამ ოქმს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის მისი მხარე და, ნებისმიერი სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქმიანობს ოქმით გათვალისწინებულ სფეროში, უფლებამოსილი იქნება დამკვირვებლის სახით მონაწილეობა მიიღოს მხარეთა შეხვედრის სხდომებზე. ასეთი მონაწილეობა რეგულირდება საპროცედურო წესებით, რომლებსაც მიიღებს მხარეთა შეხვედრა.

5. ნებისმიერ იმ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ეწევა საქმიანობას ოქმით გათვალისწინებულ სფეროში და რომელმაც აუწყა ევროპის ეკონომიკური კომისიის

აღმასრულებელ მდივანს თავისი სურვილის შესახებ, იყოს წარმოდგენილი მხარეთა შეხვედრის სხდომაზე, ექნება უფლებამოსილება დამკვირვებლის სახით მონაწილეობა მიიღოს სხდომაში, თუ სხდომაზე მყოფ მხარეთა 1/3 არ გამოთქვამს საწინააღმდეგო აზრს. მათი დაშვება და მონაწილეობა უნდა რეგულირდებოდეს მხარეთა შეხვედრაზე მიღებული საპროცედურო წესებით.

მუხლი 18
ხმის უფლება

1. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წინამდებარე ოქმის მონაწილე თითოეულ მხარეს აქვს ერთი ხმა.
2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციები მათი კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, ისარგებლებენ იმდენი ხმის უფლებით, რამდენი წევრი სახელმწიფოცაა მათ შემადგენლობაში, იმ პირობით, რომ ისინი უნდა წარმოადგენდნენ მხარეებს. მითითებული ორგანიზაციები კარგავენ ხმის უფლებას, თუკი მათი წევრი სახელმწიფოები იყენებენ ამ უფლებას და პირიქით.

მუხლი 19
დანართები

წინამდებარე ოქმის დანართები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და თუ საწინააღმდეგო არ არის საგულდაგულოდ მინიშნებული, ნებისმიერი მითითება ოქმზე იმავდროულად გულისხმობს მითითებას მის დანართებზეც.

მუხლი 20
ცვლილებები

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია წარმოადგინოს წინადადება წინამდებარე ოქმში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.
2. ოქმში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებები განიხილება მხარეთა შეხვედრის სხდომაზე.
3. ოქმში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებები წარდგენილ უნდა იქნას სამდივნოში წერილობით. სამდივნო, ექვსი თვით ადრე იმ სხდომამდე, რომელზეც განხილულ უნდა იქნას ოქმში ცვლილებების შეტანის საკითხი, აღნიშნულ წინადადებებს მიაწვდის მხარეებს, ასევე სხვა სახელმწიფოებსა და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციებს, რომლებმაც შესაბამისი ქმედებები გაატარეს ოქმის მხარედ გასახდომად, მაგრამ ოქმი ჯერ მათთვის ძალაში არ არის შესული, და ასევე ხელმომწერებს.
4. მხარეები ყველა ზომას მიიღებენ იმისათვის, რომ კონსენსუსის გზით მიაღწიონ შეთანხმებას წინამდებარე ოქმში შესატანი ნებისმიერი ცვლილების თაობაზე. თუკი ამოიწურა ყველა გზა კონსენსუსის მისაღწევად და შეთანხმება მაინც არ არის მიღწეული, მაშინ ცვლილება მიიღება სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეთა ხმების სამი მეოთხედით.
5. ამ მუხლის მიზნებისათვის "დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეები" ნიშნავს მხარეებს, რომლებიც ესწრებიან და აძლევენ ხმას – სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.
6. წინამდებარე ოქმში მე-4 პუნქტის თანახმად შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ სამდივნო აცნობებს დეპოზიტარს, რომელიც ამ ცვლილებას მიაწვდის ოქმის ყველა მხარეს, ასევე სხვა სახელმწიფოებსა და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციებს, რომლებმაც შესაბამისი ქმედებები გაატარეს ოქმის მხარედ გასახდომად, მაგრამ ოქმი ჯერ მათთვის ძალაში არ არის შესული და ასევე ხელმომწერებს.
7. ცვლილება, დანართის ცვლილების გარდა, ძალაში შევა იმ მხარეებისთვის, რომლებსაც რატიფიცირებული, მიღებული ან დამტკიცებული აქვთ იგი, ოთხმოცდამეათე დღეს ოქმის

იმ მხარეთა სულ ცოტა სამი მეოთხედის მიერ მაინც, რომლებიც ცვლილების მიღების დროს უკვე წარმოადგენდნენ ოქმის მხარეებს, რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ სიგელის დეპოზიტარისათვის შესანახად ჩაბარების შემდეგ. ამის შემდგომ, ნებისმიერი სხვა მხარესთვის იგი ძალაში შევა ოთხმოცდამეათე დღეს ამ მხარის მიერ ცვლილების რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ სიგელის დეპოზიტარისათვის შესანახად ჩაბარების შემდეგ.

8. დანართის ცვლილების შემთხვევაში, ნებისმიერმა მხარემ, რომელიც არ იღებს ამ ცვლილებას, წერილობით უნდა შეატყობინოს დეპოზიტარს აღნიშნულის შესახებ თორმეტი თვის განმავლობაში დეპოზიტარის მიერ ამ ცვლილების მხარეთათვის დაგზავნის თარიღიდან. დეპოზიტარი დაუყოვნებლად აცნობებს ყველა მხარეს ნებისმიერი ასეთი შეტყობინების მიღების შესახებ. მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია ასეთი შეტყობინების უკან გამოთხოვა, რის შემდგომაც, დანართის ცვლილება მისთვის შევა ძალაში.

9. დეპოზიტარის მიერ ცვლილების დაგზავნიდან, როგორც ეს განსაზღვრულია მე-6 პუნქტით, თორმეტი თვის გასვლის შემდეგ დანართის ცვლილება ძალაში შევა იმ მხარეებისთვის, რომლებსაც არ გაუგზავნიათ შეტყობინება დეპოზიტარისთვის მე-8 პუნქტის შესაბამისად, იმ პირობით, რომ ამ დროისათვის ასეთი შეტყობინება გაგზავნილი ჰქონდა მხარეთა არა უმეტეს 1/3-ისა, რომლებიც ცვლილების მიღების დროს უკვე წარმოადგენდნენ მხარეებს.

10. თუ დანართის ცვლილება პირდაპირ არის დაკავშირებული წინამდებარე ოქმის ცვლილებასთან, ის არ შევა ძალაში მანამ, სანამ ოქმის ცვლილება არ იქნება ძალაში.

მუხლი 21
სამდივნო

ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივანი წინამდებარე ოქმისთვის ასრულებს სამდივნოს შემდეგ ფუნქციებს:

(a) ამზადებს და მომსახურებას უწევს მხარეთა შეხვედრების სხდომებს;

(b) გადასცემს მხარეებს ანგარიშებს და სხვა ინფორმაციას, რომელიც მიღებულია წინამდებარე ოქმის დებულებების თანახმად;

(c) ანგარიშს წარუდგენს მხარეთა შეხვედრას სამდივნოს საქმიანობის შესახებ; და

(d) ანხორციელებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც შესაძლოა განსაზღვრულ იქნას მხარეთა შეხვედრის მიერ მის ხელთ არსებული საშუალებების საფუძველზე.

მუხლი 22
შესრულების განხილვა

მხარეთა შეხვედრა თავის პირველ სხდომაზე, კონსენსუსის საფუძველზე, ჩამოაყალიბებს არასამართლებრივ და არადამაპირისპირებელ, საკონსულტაციო სახის სამუშაო პროცედურებს და ინსტიტუციური მოწყობის წესებს წინამდებარე ოქმის დებულებების შესრულების შეფასების და შეუსრულებლობის შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით. ასეთი პროცედურებისა და წესების ჩამოყალიბებისას, მხარეთა შეხვედრამ უნდა განიხილოს, სხვა საკითხებს შორის, დაუშვან თუ არ წინამდებარე ოქმის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება საზოგადოების წარმომადგენლებისგან.

მუხლი 23
დავათა გადაწყვეტა

1. წინამდებარე ოქმის ორ ან მეტ მონაწილე მხარეს შორის ოქმის განმარტებებთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში, მხარეები შეეცდებიან დავის გადაწყვეტას მოლაპარაკების გზით ან სხვა ნებისმიერი მათთვის მისაღები მშვიდობიანი საშუალებებით.
2. წინამდებარე ოქმის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან მიერთებისას ან შემდგომ ამისა ნებისმიერ დროს, სახელმწიფოს უფლება აქვს დეპოზიტარს გაუგზავნოს წერილობითი განაცხადი იმის თაობაზე, რომ დავის

გადასაწყვეტად, რომელიც ვერ გადაიჭრა ამ მუხლის პირველი პუნქტით, იგი ცნობს დავათა გადაწყვეტის შემდეგ საშუალებათაგან ერთ-ერთს ან ორივეს:

(a) დავის გადაცემა საერთაშორისო სასამართლოსთვის;

(b) არბიტრაჟი IV დანართით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციას შეუძლია გააკეთოს მსგავსი განაცხადი არბიტრაჟთან დაკავშირებით ქვეპუნქტ (b)-ში მოხსენიებული პროცედურების შესაბამისად.

3. თუ დავაში მყოფი მხარეებისთვის მისაღებია დავათა გადაწყვეტის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ორივე საშუალება, დავა გადაეცემა მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს, თუ დავაში მყოფი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

მუხლი 24
ხელმოწერა

წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად კიევში (უკრაინა) 2003 წლის 21–დან 23 მაისამდე "გარემო ევროპისათვის" ფარგლებში შემდგარ მინისტრთა მეხუთე კონფერენციასთან დაკავშირებით და შემდგომ გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში, ნიუ-იორკში, 2003 წლის 31 დეკემბრამდე, გაერთიანებული ერების ყველა წევრ სახელმწიფოსთვის და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციებისთვის, რომლებიც შედგება გაერთიანებული ერების სუვერენულ წევრ სახელმწიფოებისაგან და რომლებისთვისაც მის წევრ სახელმწიფოებს გადაცემული აქვთ წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული საკითხების განხილვის კომპეტენცია, ამ საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთების კომპეტენციის ჩათვლით.

მუხლი 25
დეპოზიტარი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ასრულებს წინამდებარე ოქმის დეპოზიტარის ფუნქციას.

მუხლი 26

რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება და შეერთება

1. წინამდებარე ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას, 24-ე მუხლში მითითებული ხელმომწერი სახელმწიფოებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციების მიერ.
2. წინამდებარე ოქმი ღიაა მისაერთებლად 24-ე მუხლით განსაზღვრული სახელმწიფოებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციებისათვის 2004 წლის 1 იანვრიდან.
3. როდესაც 24-ე მუხლით განსაზღვრული ეკონომიკური ინტეგრაციის ნებისმიერი რეგიონული ორგანიზაცია ხდება მხარე ისე, რომ არც ერთი მისი წევრი სახელმწიფო არ წარმოადგენს მხარეს, ამ ორგანიზაციაზე ვრცელდება წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ორგანიზაციის ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფო წარმოადგენს ოქმის მხარეს, ორგანიზაცია და მისი წევრი სახელმწიფოები იღებენ გადაწყვეტილებას წინამდებარე ოქმის ფარგლებში ვალდებულებათა შესრულებისას მათ შორის პასუხისმგებლობის გადანაწილების თაობაზე. ამ შემთხვევაში, ორგანიზაციას და მის წევრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ წინამდებარე ოქმიდან გამომდინარე ვალდებულებები განახორციელონ პარალელურად.
4. 24-ე მუხლით განსაზღვრული ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციები თავიანთი რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ დოკუმენტებში განსაზღვრავენ წინამდებარე ოქმით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებს. ეს ორგანიზაციები აგრეთვე შეატყობინებენ დეპოზიტარს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ.

მუხლი 27
ძალაში შესვლა

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა ოთხმოცდამეათე დღეს რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ მეთექვსმეტე სიგელის დეპოზიტარისათვის გადაცემის დღიდან.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციის მიერ დეპოზიტარზე გადაცემული ნებისმიერი სიგელი არ განიხილება როგორც დამატებითი იმ სიგელების მიმართ, რომლებიც გადაცემულია დეპოზიტარზე ასეთი ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ.
3. ყოველი სახელმწიფოსთვის ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციისთვის, რომელმაც მოახდინა წინამდებარე ოქმის რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება ან მიუერთდა მას, მისი რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ მეთექვსმეტე სიგელის დეპოზიტარისათვის შესანახად ჩაბარების შემდეგ, ოქმი ძალაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს ამ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიერ რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ სიგელის დეპოზიტარისათვის გადაცემის შემდეგ.

მუხლი 28
დათქმა

წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული არ არის არანაირი დათქმა.

მუხლი 29
ოქმიდან გამოსვლა

ნებისმიერ დროს, რომელიმე მხარისათვის ოქმის ძალაში შესვლიდან სამი წლის შემდეგ, ამ მხარეს შეუძლია ოქმიდან გამოსვლა დეპოზიტარისათვის წერილობითი შეტყობინების

საფუძველზე. ნებისმიერი ასეთი გამოსვლა ძალაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს იმ დღიდან, როცა დეპოზიტარი მიიღებს გამოსვლის შესახებ შეტყობინებას.

მუხლი 30
აუთენტური ტექსტები

წინამდებარე ოქმის ორიგინალი, რომლის ინგლისური, ფრანგული და რუსული ტექსტები თანაბრად აუთენტურია, ჩაბარდება გაეროს გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც ქვემორე ხელისმომწერნი, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილნი, ხელს ვაწერთ წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია კიევში, ორიათას სამი წლის ოცდაერთ მაისს.

<u>დანართი 1</u>

საქმიანობა

No.	საქმიანობა	მაჩვენებლის ზღვარი (სვეტი 1)	ზღვარი თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით (სვეტი 2)
1.	**ენერგეტიკის სექტორი**		
(a)	ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები	*	10 თანამშრომელი
(b)	გაზიფიკაციისა და გათხევადებისთვის საჭირო მოწყობილობები	*	
(c)	თბოსადგურები და წვის სხვა დანადგარები	თბური დატვირთვა 50 მეგავატი (მგვ)	
(d)	ქვანახშირის ღუმელები	*	
(e)	ქვანახშირის საფქვავი წისქვილები	წარმადობით 1 ტონა საათში	
(f)	ქვანახშირის პროდუქტების და სხვა მყარი უკვამლო საწვავის წარმოების მოწყობილობები	*	
2.	**ლითონის წარმოება და დამუშავება**		
(a)	ლითონის მადნეულის (სულფიდური მადნეულის ჩათვლით) გამოწვის ან აგლომერაციული მოწყობილობები	*	10 თანამშრომელი
(b)	თუჯისა და ფოლადის (პირველადი და მეორადი გამოდნობის) წარმოების მოწყობილობები უწყვეტი ჩამოსხმის ჩათვლით	წარმადობით 2,5 ტონა საათში	
(c)	რკინის შემცველი ლითონების დამამუშავებელი მოწყობილობები (i)საგლინავი წარმოება	 წარმადობით 20 ტონა დაუმუშავებელი ფოლადი საათში	

No.	საქმიანობა	მაჩვენებლის ზღვარი (სვეტი 1)	ზღვარი თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით (სვეტი 2)
	(ii) სამჭედლოები ურიებით	ურიზე50კილოჯოული ენერგიით, სადაც გამოყენებული თბური ენერგია აჭარბებს 20 მგვ-ს	
	(iii) ჩამოსხმა ლღვობადი მოდელებით	წარმადობით 2 ტონა დაუმუშავებელი ფოლადი საათში	
(d)	რკინის შემცველი მეტალების სამსხმელოები	წარმადობით 20 ტონა დღეში	
(e)	მოწყობილობები : (i) რკინის არშემცველი ლითონების წარმოებისათვის, რომლებიც მიღებულია მადნებიდან, კონცენტრატებიდან ან მეორადი ნედლეულიდან მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტრო დამუშავების გზით	*	
	(ii) რკინის არშემცველი ლითონების, მათ შორის შენადნობებისა და მეორადი ნაწარმის ღუმელში დნობისათვის, (დამუშავება, ჩამოსხმა და სხვა)	წარმადობით 4 ტონა დღეში ტყვიისათვის და კადმიუმისთვის ან 20 ტონა დღეში სხვა დანარჩენი ლითონებისთვის	10 თანამშრომელი
(f)	მოწყობილობები ლითონებისა და პლასტიკური მასალის ზედაპირების ელექტროლიტური ან ქიმიური პროცესით დამუშავებისათვის	სადაც დასამუშავებელი ავზების მოცულობა უტოლდება 30 $მ^3$	
3.	**მინერალების მრეწველობა**		
(a)	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და მასთან დაკავშირებული საქმიანობა	*	10 თანამშრომელი
(b)	ნედლეულის მოპოვება ღია კაიერიდან	სადაც კარიერის ფართობი უტოლდება 25 ჰექტარს	
(c)	მოწყობილობები შემდეგი მასალის წარმოებისთვის: (i) ცემენტის კლინკერი როტაციულ ღუმელში	წარმადობით 500 ტონა დღეში	

No.	საქმიანობა	მაჩვენებლის ზღვარი (სვეტი 1)	ზღვარი თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით (სვეტი 2)
	(ii) კირი როტაციულ ღუმელში (iii) ცემენტის კლინკერი და კირი სხვა ღუმელში	წარმადობით 50 ტონა დღეში წარმადობით 50 ტონა დღეში	
(d)	მოწყობილობები ასბესტისა და ასბესტის შემცველი პროდუქციის წარმოებისთვის	*	
(e)	მოწყობილობები მინისა და მინის ბოჭკოს წარმოებისათსვის	წარმადობით 20 ტონა დღეში	
(f)	მოწყობილობები მინერალური ნივთიერებების დნობისა და ასევე მინერალური ბოჭკოს წარმოებისთვის	წარმადობით 20 ტონა დღეში	
(g)	მოწყობილობები კერამიკული პროდუქციის, კერძოდ კრამიტის, აგურის, ცეცხლგამძლე აგურის, ფილების, თიხის ჭურჭელის ან ფაიფურის გამოწვით წარმოებისთვის	წარმადობით 75 ტონა დღეში ან ღუმელის მოცულობით 4 $მ^3$ და ღუმელზე ქვედის სიმკვრივით 300$კგ/მ^3$	

4.	**ქიმიური მრეწველობა**

No.	საქმიანობა	მაჩვენებლის ზღვარი (სვეტი 1)	ზღვარი თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით (სვეტი 2)
(a)	ქიმიური მოწყობილობები ძირითადი ორგანული ქიმიკატების სამრეწველო მასშტაბით წარმოებისთვის, როგორიცაა: (i) მარტივი ნახშირწყალბადები (სწორხაზოვანი ან ციკლური, ნაჯერი ან უჯერი, ალიფატური ან არომატული) (ii) ჟანგბადშემცველი ნახშირწყალბადები, როგორიცაა: ალკოჰოლები, ალდეჰიდები, კეტონები, კარბოქსიმჟავები, რთული ეთერები, აცეტატები, მარტივი ეთერები, ზეჟანგები, ეპოქსიდური ფისი (iii) სულფიდური ნახშირწყალბადები (iv) აზოტოვანი ნახშირწყალბადები, ამინები, ამიდები, აზოტშემცველი ან ნიტრატების შემცველი, ნიტრილები, ციანიტები, იზოციანიტები (v) ფოსფორის შემცველი ნახშირწყალბადები (vi) ჰალოგენშემცველი ნახშირწყალბადები (vii) ლითონშემცველი ორგანული ნაერთები (viii) ძირითადი პლასტიკური მასალები (პოლიმერები, სინთეზური ბოჭკო და ცელულოზა) (ix) სინთეზური კაუჩუკი (x) საღებავები და პიგმენტები (xi) აქტიური ზედაპირების მქონე აგენტები	*	10 თანამშრომელი

No.	საქმიანობა	მაჩვენებლის ზღვარი (სვეტი 1)	ზღვარი თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით (სვეტი 2)
(b)	ქიმიური მოწყობილობები არაორგანული ქიმიკატების სამრეწველო მასშტაბით წარმოებისთვის, როგორიცაა: (i) აირები: ამიაკი, ქლორი და ქლორწყალბადი, ფტორი და ფტორწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდები, გოგირდშემცველი ნაერთები, აზოტის ოქსიდები, წყალბადი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ქლორიდი (ii) მჟავები: ქრომმჟავა, ფტორწყალბადი, ფოსფორმჟავა, აზოტმჟავა, ქლორწყალბადი, გოგირდმჟავა, ოლეუმი, გოგირდოვანი მჟავა (iii) ფუძეები: ამონიუმის ჰიდროქსიდი, კალიუმის ჰიდროქსიდი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი (iv) მარილები: ამონიუმის ქლორიდი, ბერთოლეს მარილი, კალიუმის კარბონატი, ნატრიუმის კარბონატი, პერბორატი, ვერცხლის ნიტრატი (v) არალითონები, ლითონების ოქსიდები ან სხვა არაორგანული ნაერთები, როგორებიცაა: კალციუმის კარბიდი,სილიციუმი, სილიციუმის კარბიდი	*	
(c)	ქიმიური მოწყობილობები ფოსფორის-, აზოტის- ან კალიუმის ბაზაზე სასუქების (მარტივი ან შერეული სასუქების) სამრეწველო მასშტაბით წარმოებისთვის	*	
(d)	ქიმიური მოწყობილობები ქარხნული წესით მედიკამენტებისა და ბიოციდების სამრეწველო მასშტაბით წარმოებისთვის	*	
(e)	მოწყობილობები ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური ან ბიოლოგიური პროცესებით სამრეწველო მასშტაბით წარმოებისთვის,	*	
(f)	მოწყობილობები ფეთქებადი და პიროტექნიკური პროდუქციის სამრეწველო მასშტაბით წარმოებისთვის	*	10 თანამშრომელი
5.	**ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების მართვა**		
(a)	მოწყობილობები საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაწვის, პიროლიზის, ქიმიური დამუშავების და განთავსებისთვის	დღეში 10 ტონის მიღებით	10 თანამშრომელი
(b)	მოწყობილობები საყოფაცხოვრებო ნარჩენების დასაწვავად	მოცულობით 3 ტონა საათში	
(c)	მოწყობილობები არასახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის	მოცულობით 50 ტონა დღეში	

No.	საქმიანობა	მაჩვენებლის ზღვარი (სვეტი 1)	ზღვარი თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით (სვეტი 2)
(d)	ნაგავსაყრელები (ინერტული ნარჩენების გარდა)	დღეში 10 ტონის მიღებით ან საერთო მოცულობით 25,000 ტონა	
(e)	მოწყობილობები ცხოველური ნარჩენების განსათავსებლად და რეციკლირებისთვის	წარმადობით 10 ტონა დღეში	
(f)	საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები	100,000 მოსახლეზე შესაბამისი სიმძლავრით	
(g)	დამოუკიდებლად მომუშავე სამრეწველო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, რომლებიც ასრულებენ ამ დანართში მოცემულ რომელიმე საქმიანობას	წარმადობით 10,000 $მ^3$ დღეში	
6.	**ქაღალდისა და ხის მასალის წარმოება და დამუშავება**		
(a)	საწარმოები ხის მასალისგან ცელულოზისა ან მსგავსი ბოჭკოვანი ნივთიერებების წარმოებისთვის	*	10 თანამშრომელი
(b)	საწარმოები ქაღალდის, მუყაოს და სხვა პირველადი ხის პროდუქციის წარმოებისთის (როგორიცაა: მერქან-ბურბუშელოვანი ფილა, მერქან-ბოჭკოვანი ფილა და ფანერა)	წარმადობით 20 ტონა დღეში	
(c)	საწარმოები ხე-ტყისა და ხის პროდუქციის დასაცავად ქიმიური ნივთიერებების საშუალებით	მოცულობით 50 $მ^3$ დღეში	
7.	**შინაური ცხოველის ინტენსიური მოშენება და აკვაკულტურა**		
(a)	მოწყობილობები შინაური ფრინველისა და ღორების მოსაშენებლად	(i) 40,000 ადგილით შინ. ფრინველისთვის (ii) 2,000 ადგილით (30კგ-ზე მეტი) ღორებისთვის (iii) 750 ადგილით ნეზვებისთვის	10 თანამშრომელი
(b)	ინტენსიური აკვაკულტურა	1,000 ტონა თევზი და მოლუსკი წელიწადში	10 თანამშრომელი
8.	**ცხოველური და მცენარეული ნაწარმი კვების სექტორიდან**		
(a)	სასაკლაო	მთლიანი წონით 50 ტონა დღეში	10 თანამშრომელი
(b)	დამუშავება და დამზადება დაფუძნებული საკვები და სასმელი პროდუქციის მიღებაზე შემდეგი მასალიდან:		

No.	საქმიანობა	მაჩვენებლის ზღვარი (სვეტი 1)	ზღვარი თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით (სვეტი 2)
	(i) გადაუმუშავებელი ცხოველური მასალა (რძის გარდა) (ii) მცენარეული ნედლი მასალა	საბოლოო პროდუქტის წარმადობით 75 ტონა დღეში საბოლოო პროდუქტის წარმადობით 300 ტონა დღეში (საფუძველი საშუალო სიდიდე კვარტლურად)	
(c)	რძის დამზადება-გადამუშავება	წარმადობით 200 ტონა რძე დღეში (საფუძველი საშუალო სიდიდე წლიურად)	
9.	**სხვა საქმიანობა**		
(a)	წინასწარი დამუშავების საწარმოები (რეცხვა, გათეთრება, ბამბის დამუშავება) ან ქსოვილის და ძაფის ღებვა	წარმადობით 10 ტონა დღეში	10 თანამშრომელი
(b)	მთრიმლავი ქარხნები ტყავისა და ტყავის მასალისთვის	წარმდობით 12 ტონა საბოლოო პროდუქტი დღეში	
(c)	მოწყობილობები მასალების და საგნების ზედაპირების დასამუშავებლად ან იმ პროდუქციისთვის, სადაც გამოყენებულია ორგანული გამხსნელები, კერძოდ მოპირკეთებისთვის, ქიმიური ბეჭდვისთვის, საიზოლაციო შრით დაფარვისთვის, საპოხის მოსაცილებლად, წყალგაუმტარობისთვის, გრანულირებისთვის, დაგრუნტვისთვის, წმენდისთვის ან გასაჟღენთად	მოხმარებით 150კგ საათში ან 200 ტონა წელიწადში	
(d)	მოწყობილობები ნახშირბადის (ანტრაციტის) ან ელექტროგრაფიტის წარმოებისთვის წვის ან გრაფიტიზაციის საშუალებით	*	
(e)	გემების მშენებლობის, დაგრუნტვისა და გრუნტის მოსაცილებელი მოწყობილობები	100მ-იანი და მეტი სიგრძის გემებისთვის	

<u>განმარტებითი შენიშვნები</u>:

სვეტი 1 აჩვენებს ზღვარს სიმძლავრის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია მე-7 მუხლით, პუნქტი 1 (a);

ვარსკვლავი (*) მიუთითებს, რომ სიმძლავრის მიხედვით დაწესებული ზღვარი არ არის გასათვალისწინებული (ყველა საწარმო ვალდებულია წარმოადგინოს ანგარიში);

სვეტი 2 აჩვენებს ზღვარს თანამშრომელთა მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია მე-7 მუხლით, პუნქტი 1 (b);

"10 თანამშრომელი" გულისხმობს 10 სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელს.

დანართი II

დამაბინძურებელი ნივთიერებები

No.	CAS ნუმერაცია	დამაბინძურებელი ნივთიერებები	გარემოში მოხვედრის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 1)			დამაბინძურებელი ნივთიერებების ტერიტორიის გარეთ გადატანის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 2)	წარმოების, დამუშავების ან მოხმარებული მასალების რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 3)
			ჰაერში (სვეტი 1ა)	წყალში (სვეტი 2 ბ)	მიწაში (სვეტი 1 ც)		
			კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი
1	74-82-8	მეთანი (CH_4)	100 000	-	-	-	*
2	630-08-0	ნახშირბადის მონოქსიდი (CO)	500 000	-	-	-	*
3	124-38-9	ნახშირბადის დიოქსიდი (CO_2)	100 მილიონი	-	-	-	*
4		ჰიდროფტოროკარბონატები (HFCs)	100	-	-	-	*
5	10024-97-2	აზოტ(1)-ის ოქსიდი (N_2O)	10 000	-	-	-	*
6	7664-41-7	ამიაკი (NH_3)	10 000	-	-	-	10 000
7		არამეთანური აქროლადი ორგანული ნაერთები (NMVOC)	100 000	-	-	-	*
8		აზოტის ოქსიდები (NO_x/NO_2)	100 000	-	-	-	*
9		პერფტოროკარბონატები (PFCs)	100	-	-	-	*
10	2551-62-4	გოგირდის ჰექსაფტორიდი (SF_6)	50	-	-	-	*
11		გოგირდის ოქსიდები (SO_x/SO_2)	150 000	-	-	-	*
12		თავისუფალი აზოტი	-	50 000	50 000	10 000	10 000
13		თავისუფალი ფოსფორი	-	5 000	5 000	10 000	10 000
14		ჰიდროფტოროქლორო–კარბონატები (HCFCs)	1	-	-	100	10 000
15		ქლოროფტოროკარბონატები (CFCs)	1	-	-	100	10 000
16		ჰალოგენები	1	-	-	100	10 000

No.	CAS ნუმერაცია	დამაბინძურებელი ნივთიერებები	გარემოში მოხვედრის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 1)			დამაბინძურებელი ნივთიერებების ტერიტორიის გარეთ გადატანის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 2)	წარმოების, დამუშავების ან მოხმარებული მასალების რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 3)
			ჰაერში (სვეტი 1ა)	წყალში (სვეტი 2 ბ)	მიწაში (სვეტი 1 ც)		
			კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი
17	7440-38-2	დარიშხანი და მისი შემცველი ნაერთები (As)	20	5	5	50	50
18	7440-43-9	კადმიუმი და მისი შემცველი ნაერთები (Cd)	10	5	5	5	5
19	7440-47-3	ქრომი და მისი შემცველი ნაერთები (Cr)	100	50	50	200	10 000
20	7440-50-8	სპილენძი და მისი შემცველი ნაერთები (Cu)	100	50	50	500	10 000
21	7439-97-6	ვერცხლისწყალი და მისი შემცველი ნაერთები (Hg)	10	1	1	5	5
22	7440-02-0	ნიკელი და მისი შემცველი ნაერთები (Ni)	50	20	20	500	10 000
23	7439-92-1	ტყვია და მისი შემცველი ნაერთები (Pb)	200	20	20	50	50
24	7440-66-6	თუთია და მისი შემცველი ნაერთები (Zn)	200	100	100	1 000	10 000
25	15972-60-8	ალაქლორი	-	1	1	5	10 000
26	309-00-2	ალდრინი	1	1	1	1	1
27	1912-24-9	ატრაზინი	-	1	1	5	10 000
28	57-74-9	ქლორიდანი	1	1	1	1	1
29	143-50-0	ქლოდეკონი	1	1	1	1	1
30	470-90-6	ქლორფენვინ ფოსფორი	-	1	1	5	10 000
31	85535-84-8	ქლორო-ალკანები, C_{10}-C_{13}	-	1	1	10	10 000
32	2921-88-2	ქლორპიროფოსი	-	1	1	5	10 000
33	50-29-3	დდტ-დუსტი	1	1	1	1	1
34	107-06-2	1,2-დიქლოროეთანი (EDC)	1 000	10	10	100	10 000
35	75-09-2	დიქლორომეთანი (DCM)	1 000	10	10	100	10 000
36	60-57-1	დიელდრინი	1	1	1	1	1
37	330-54-1	დიურონი	-	1	1	5	10 000
38	115-29-7	ენდოსულფატი	-	1	1	5	10 000
39	72-20-8	ენდრინი	1	1	1	1	1

No.	CAS ნუმერაცია	დამაბინძურებელი ნივთიერებები	გარემოში მოხვედრის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 1)			დამაბინძურებელი ნივთიერებების ტერიტორიის გარეთ გადატანის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 2)	წარმოების, დამუშავების ან მოხმარებული მასალების რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 3)
			ჰაერში (სვეტი 1ა)	წყალში (სვეტი 2 ბ)	მიწაში (სვეტი 1 ც)		
			კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი
40		ჰალოგენიზირებული ორგანული ნაერთები (AOX)	-	1 000	1 000	1 000	10 000
41	76-44-8	ჰეპტაქლორი	1	1	1	1	1
42	118-74-1	ჰექსაქლორობენზოლი (HCB)	10	1	1	1	5
43	87-68-3	ჰექსაქლორობუტადიენი (HCBD)	-	1	1	5	10 000
44	608-73-1	1,2,3,4,5,6-ჰექსაქლოროციკლოჰექსანი (HCH)	10	1	1	1	10
45	58-89-9	ლინდანი	1	1	1	1	1
46	2385-85-5	მირექსი	1	1	1	1	1
47		PCDD +PCDF (დიოქსინები+ფურანები) (Teq)	0.001	0.001	0.001	0.001	0.001
48	608-93-5	პენტაქლორობენზოლი	1	1	1	5	50
49	87-86-5	პენტაქლოროფენოლი (PCP)	10	1	1	5	10 000
50	1336-36-3	პოლიქლორირებული ბიფენილები (PCBs)	0.1	0.1	0.1	1	50
51	122-34-9	სიმაზინი	-	1	1	5	10 000
52	127-18-4	ტეტრაქლოროეთილენი (PER)	2 000	-	-	1 000	10 000
53	56-23-5	ტეტრაქლორომეთანი (TCM)	100	-	-	1 000	10 000
54	12002-48-1	ტრიქლორობენზოლები (TCBs)	10	-	-	1 000	10 000
55	71-55-6	1,1,1-ტრიქლოროეთანი	100	-	-	1 000	10 000
56	79-34-5	1,1,2,2-ტეტრაქლოროეთანი	50	-	-	1 000	10 000
57	79-01-6	ტრიქლოროეთილენი	2 000	-	-	1 000	10 000
58	67-66-3	ტრიქლორომეთანი	500	-	-	1 000	10 000
59	8001-35-2	ტოქსაფენი	1	1	1	1	1
60	75-01-4	ვინილქლორიდი	1 000	10	10	100	10 000
61	120-12-7	ანტრაცენი	50	1	1	50	50

No.	CAS ნუმერაცია	დამაბინძურებელი ნივთიერებები	გარემოში მოხვედრის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 1)			დამაბინძურებელი ნივთიერებების ტერიტორიის გარეთ გადატანის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 2)	წარმოების, დამუშავების ან მოხმარებული მასალების რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 3)
			ჰაერში (სვეტი 1ა)	წყალში (სვეტი 2 ბ)	მიწაში (სვეტი 1 ც)		
			კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი
62	71-43-2	ბენზოლი	1 000	200 (BTEX)[a/]	200 (BTEX) [a/]	2 000 (BTEX) [a/]	10 000
63		ბრომირებული დიფენილ ეთერები (PBDE)	-	1	1	5	10 000
64		ნონილფენოლ ეტოქსილატები (NP/NPEs) და დამოკიდებული ნივთიერებები	-	1	1	5	10 000
65	100-41-4	ეთილბენზოლი	-	200 (BTEX)[a/]	200 (BTEX)[a/]	2 000 (BTEX)[a/]	10 000
66	75-21-8	ეთილენოქსიდი	1 000	10	10	100	10 000
67	34123-59-6	იზოპროტურონი	-	1	1	5	10 000
68	91-20-3	ნაფტალინი	100	10	10	100	10 000
69		კალის შემცველი ორგანული ნაერთები (თავისუფალი Sn)	-	50	50	50	10 000
70	117-81-7	დი-(2-ეთილლ ჰექსილ) ფტალატი (DEHP)	10	1	1	100	10 000
71	108-95-2	ფენოლები (თავისუფალი C)	-	20	20	200	10 000
72		პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები (PAHs)[b/]	50	5	5	50	50
73	108-88-3	ტოლუოლი	-	200 (BTEX)[a/]	200 (BTEX)[a/]	2 000 (BTEX)[a/]	10 000
74		ტრიბუთილი და მისი შემცველი ნაერთები	-	1	1	5	10 000
75		ტრიფენილი და მისი შემცველი ნაერთები	-	1	1	5	10 000
76		თავისუფალი ორგანული ნახშირბადი (TOC) (თავისუფალი C ან COD/3)	-	50 000	-	-	**
77	1582-09-8	ტრიფტორალინი	-	1	1	5	10 000
78	1330-20-7	ქსილოლები	-	200	200	2 000	10 000

No.	CAS ნუმერაცია	დამაბინძურებელი ნივთიერებები	გარემოში მოხვედრის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 1)			დამაბინძურებელი ნივთიერებების ტერიტორიის გარეთ გადატანის რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 2)	წარმოების, დამუშავების ან მოხმარებული მასალების რაოდენობრივი ზღვარი (სვეტი 3)
			ჰაერში (სვეტი 1ა)	წყალში (სვეტი 2 ბ)	მიწაში (სვეტი 1 ც)		
			კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი	კგ/წელი
				(BTEX)[a/]	(BTEX)[a/]	(BTEX)[a/]	
79		ქლორიდები (თავისუფალი Cl)	-	2 მილიონი	2 მილიონი	2 მილიონი	10 000[c/]
80		ქლორაირი და მისი შემცველი არაორგანული ნივთიერებები (HCl)	10 000	-	-	-	10 000
81	1332-21-4	ასბესტი	1	1	1	10	10 000
82		ციანიდები (თავისუფალი CN)	-	50	50	500	10 000
83		ფტორიდები (თავისუფალი F)	-	2 000	2 000	10 000	10 000[c/]
84		ფტორწყალბადი და მისი შემცველი არაორგანული ნაერთები (HF)	5 000	-	-	-	10 000
85	74-90-8	ციანმჟავა (HCN)	200	-	-	-	10 000
86		მტვერი (PM_{10})	50 000	-	-	-	*

<u>განმარტებითი მინიშნებები</u>:

დამაბინძურებელი ნივთიერების CAS ნუმერაცია, შესაძლებელს ხდის დამხმარე ქიმიურ ანოტაციებში ნივთიერებათა ზუსტ ამოცნობას.

სვეტი 1 აჩვენებს შესაბამის ზღვარს, რომელიც განსაზღვრულია მე-7 მუხლით, პუნქტი 1 (a)(i) და (iv). თუ ზღვარი მოცემულ სვეტში (ჰაერი, წყალი, ან მიწა) გადაჭარბებულია, საჭიროა, თითოეული საწარმოდან იმ მხარეებისთვის, რომლებმაც ამოირჩიეს ანგარიშგების სისტემა მე-7 მუხლის I(a) პუნქტის შესაბამისად, წარდგენილ იქნას ანგარიში დამაბინძურებელთა გარემოში ან იმ ჩამდინარე წყალში

გაშვებასთან დაკავშირებით, რომელიც ექვემდებარება გაწმენდას, აგრეთვე დამაბინძურებლების გარემოში გადატანასთან დაკავშირებით.

სვეტი 2 აჩვენებს შესაბამის ზღვარს, რომელიც განსაზღვრულია მე-7 მუხლით, პუნქტი 1 (a)(ii). თუ ზღვარი სვეტში მოცემული დამაბინძურებელი ნივთიერებისთვის გადაჭარბებულია, დამაბინძურებელი ნივთიერებების ტერიტორიის გარეთ გადატანაზე საჭიროა ანგარიშგება თითოეული საწარმოდან იმ მხარეებისთვის, რომლებმაც ამოირჩიეს ანგარიშგების სისტემა მე-7 მუხლის I(a)(ii) პუნქტის შესაბამისად.

სვეტი 3 აჩვენებს შესაბამის ზღვარს, რომელიც განსაზღვრული მე-7 მუხლით, პუნქტი (1)(b). თუ ზღვარი სვეტში მოცემული დამაბინძურებელი ნივთიერებისთვის გადაჭარბებულია, დამაბინძურებელი ნივთიერებების გარემოში გაშვებაზე და მათ ტერიტორიის გარეთ გადატანაზე საჭიროა ანგარიშგება თითოეული საწარმოდან იმ მხარეებისთვის, რომლებმაც ამოირჩიეს ანგარიშგების სისტემა მე-7 მუხლის I(b) პუნქტის შესაბამისად.

ტირე (-) მიუთითებს, რომ პარამეტრი არ ითვალისწინებს ანგარიშის წარდგენას.

ვარსკვლავი (*) მიუთითებს, რომ მოცემული დამაბინძურებელი ნივთიერებისთვის გარემოში გაშვების ზღვარი (1)(a) სვეტში უფრო მეტად მართებულია ვიდრე წარმოების, დამუშავებისა და მოხმარების ზღვარი.

ორი ვარსკვლავი (**) მიუთითებს, რომ მოცემული დამაბინძურებელი ნივთიერებისთვის გარემოში გაშვების ზღვარი (1)(b) სვეტში უფრო მეტად მართებულია ვიდრე წარმოების, დამუშავებისა და მოხმარების ზღვარი.

<u>შენიშვნები:</u>

<u>a/</u> ცალკეული დამაბინძურებელი ნივთიერება ექვემდებარება ანგარიშგებას, თუკი ზღვარი BTEX-ისთვის (ბენზოლის, ტოლუოლის, ეთილბენზოლის, ქსილოლის ჯამური პარამეტრი) გადაჭარბებულია.

<u>b/</u> პოლიციკლური არომატული ნახშირწყლები (PAHs) განსაზღვულია, როგორც ბენზო(a)პირენი (50-32-8), ბენზო(b)ფტოროანთენი (205-99-2), ბენზო(k)ფტოროანთენი (207-08-9), ინდენო(1,2,3-cd)პირენი (193-39-5) (გამომდინარე შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციის ოქმიდან მდგრადი ორგანული დამაბინძურებელი ნივთიერებების შესახებ).

<u>c/</u> როგორც არაორგანული შენაერთები.

<u>დანართი III</u>

ნაწილი A

განთავსების პროცესები (‘D’)

- განთავსება მიწაში ან მიწაზე (მაგალითად, ნაგავსაყრელზე)
- ნიადაგის დამუშავება (მაგალითად, ნიადაგში თხევადი ან შლამისებური ნარჩენების ბიოდეგრადაცია)
- სიღრმული გაჟღენთვა (მაგ. ჭაბურღილებში ნაქაჩი ნარჩენების გაჟღენთვა, ბუნებრივად წარმოქმნილი მარილოვანი გუმბათები)
- ზედაპირულ წყალსატევებში განთავსება (მაგ. თხევადი და შლამისმაგვარი ნარჩენების ტბორებში, გუბურებში ან ლაგუნებში)
- სპეციალურად მოწყობილი ნაგავსაყრელები (მაგ. ერთმანეთისაგან და გარემოსაგან იზოლირებული, განცალკევებულ რიგებად განლაგებული)
- ჩაშვება წყალში ზღვების/ოკეანეების გარდა
- ჩაშვება ზღვებში/ოკეანეებში ზღვის ფსკერის ჩათვლით
- ბიოლოგიური დამუშავება, რომელიც ამ დანართის სხვა ნაწილში არ არის განსაზღვრული, რასაც მოყვება იმ საბოლოო კომპონენტების და ნარევების წარმოშობა, რომელთა განთავსება მოხდება დანართის ამ ნაწილში აღწერილი რომელიმე ხერხით.
- ფიზიკო-ქიმიური დამუშავება, რომელიც ამ დანართის სხვა ნაწილში არ არის განსაზღვრული, რასაც მოყვება იმ საბოლოო კომპონენტების და ნარევების წარმოშობა, რომელთა განთავსება მოხდება დანართის ამ ნაწილში აღწერილი რომელიმე ხერხით. (მაგ. აორთქლება, გამოშრობა, გამოწვა, ნეიტრალიზება, ატმოსფერული ნალექები)
- წვის პროცესები ხმელეთზე
- წვის პროცესები ზღვაზე
- მუდმივი დასაწყობება (მაგ. კონტეინერების მაღაროებში განთავსება)
- ამ ნაწილში განსაზღვრული ოპერაციების ჩატარებამდე ერთგვაროვანი ან არაერთგვაროვანი ნარევების მიღება
- ამ ნაწილში განსაზღვრული ოპერაციების ჩატარებამდე ხელახალი შეფუთვა
- ამ ნაწილში განსაზღვრული ოპერაციების ჩატარებამდე დასაწყობების შეყოვნება

ნაწილი B

აღდგენითი პროცესები (‘R’)

- საწვავის ან სხვა საშუალების გამოყენება ენერგიის მისაღებად (გარდა პირდაპირი წვის პროცესებში).
- გამხსნელის აღდგენა/რეგენერაცია
- იმ ორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა, რომელიც არ წარმოადგენენ გამხსნელებს
- ლითონებისა და ლითონის ნაერთების რეციკლირება/აღდგენა
- სხვა არაორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა
- მჟავეებისა და ფუძეების რეგენერაცია
- დაბინძურების შემცირებისათვის გამოყენებული კომპონენტების აღდგენა
- კატალიზატორების კომპონენტების აღდგენა
- ნარჩენი ზეთის ხელმეორედ გამოხდა ან მათი სხვაგვარად გამოყენება
- ნიადაგის დამუშავება სასოფლო-სამეურნეო ან ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის
- ამ ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი აღდგენითი პროცესიდან დარჩენილი მასალის გამოყენება
- ამ ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი აღდგენითი პროცესების შედეგად მიღებული ნარჩენების გაცვლა
- ამ ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი პროცესისთვის განკუთვნილი მასალების აკუმულირება.

<u>დანართი IV</u>

არბიტრაჟი

1. დავის არბიტრაჟში წარდგენის შემთხვევაში, წინამდებარე ოქმის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მხარემ ან მხარეებმა დიპლომატიური არხებით უნდა შეატყობინონ დავის მონაწილე სხვა მხარეს ან მხარეებს, ასევე სამდივნოს, დავის საგანი და მიუთითონ ამ ოქმის ის მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია და გამოყენება იწვევს დავას. მიღებულ ინფორმაციას სამდივნო გაუგზავნის წინამდებარე ოქმის ყველა მხარეს.

2. საარბიტრაჟო სასამართლო უნდა შედგებოდეს სამი წევრისაგან. ორივე, მოსარჩელე მხარე ან მხარეები და დავის მონაწილე სხვა მხარე ან მხარეები დანიშნავენ თითო მოსამართლეს და ამგვარად დანიშნული ორი მოსამართლე, საერთო შეთანხმების საფუძველზე, დანიშნავს მესამე მოსამართლეს, რომელიც იქნება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე. ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს დავის მონაწილე რომელიმე მხარე ქვეყნის წარმომადგენელი, ასევე არ უნდა გააჩნდეს მუდმივად საცხოვრებელი ადგილი ამ მხარეებიდან რომელიმეს ტერიტორიაზე, არ უნდა იყოს დაქირავებული რომელიმე მათგანის მიერ და არ უნდა ჰქონდეს ამ საქმესთან სხვა რამე კავშირი.

3. თუ მეორე მოსამართლის დანიშვნიდან ორი თვის მანძილზე საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე არ იქნება დანიშნული, დავის მონაწილე რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივანი დანიშნავს თავმჯდომარეს მომდევნო ორი თვის განმავლობაში.

4. თუ დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს მოსამართლეს I პუნქტში

მითითებული შეტყობინების მიღებიდან ორი თვის განმავლობაში, მეორე მხარეს შეუძლია აცნობოს ამის თაობაზე ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ მდივანს, რომელიც მომდევნო ორი თვის განმავლობაში დანიშნავს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს. დანიშვნის შემდეგ, საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე მოსთხოვს მხარეს, რომელსაც არ დაუნიშნავს მოსამართლე ამის გაკეთებას ორი თვის განმავლობაში. თუ ამ პერიოდის განმავლობაში ეს მოთხოვნა არ შესრულდა, თავმჯდომარე ამის შესახებ აცნობებს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ მდივანს, რომელიც მომდევნო ორი თვის განმავლობაში განახორციელებს დანიშვნას.

5. საარბიტრაჟო სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და წინამდებარე ოქმის დებულებათა შესაბამისად.

6. წინამდებარე დანართის დებულებათა შესაბამისად შემდგარი ყოველი საარბიტრაჟო სასამართლო აწესებს თავის საპროცედურო წესებს.

7. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც საპროცედურო ასევე არსებით საკითხთა შესახებ, მიღებულ იქნება მისი წევრების ხმათა უმრავლესობით.

8. სასამართლოს შეუძლია მიიღოს ყველა სათანადო ზომა ფაქტების დასადგენად.

9. დავის მონაწილე მხარეებმა, მათ განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებით, ხელი უნდა შეუწყონ საარბიტრაჟო სასამართლოს მუშაობას, კერძოდ:

(a) უზრუნველყონ იგი ყველა შესაბამისი დოკუმენტაციით, მოწყობილობით და ინფორმაციით;

(b) შესაძლებლობა მისცენ მას, საჭიროებისამებრ, გამოიძახოს მოწმეები ან ექსპერტები და მიიღოს მათი ჩვენებები.

10. მხარეებმა და მოსამართლეებმა საიდუმლოდ უნდა დაიცვან სასამართლო განხილვის პერიოდში მიღებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია.

11. საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, შესთავაზოს მას დაცვის დროებითი ზომები.

12. თუ დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარე არ ცხადდება საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე ან ვერ ახერხებს არგუმენტაციის წარდგენას, მეორე მხარეს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს განხილვის გაგრძელება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. მხარის არ ყოფნამ ან არგუმენტაციის წარმოუდგენლობამ არ უნდა წარმოქმნას სირთულე განხილვის მსვლელობისას. თავისი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, საარბიტრაჟო სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სარჩელი ფაქტიურად და იურიდიულად სათანადოდ არის შედგენილი.

13. საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია მოისმინოს და განიხილოს დავის საგნიდან გამომდინარე შეგებებული სარჩელები.

14. თუ საარბიტრაჟო სასამართლო არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას სხვაგვარად საქმის გარკვეული ვითარებიდან გამომდინარე, სასამართლოს ხარჯები, მათ შორის მისი წევრების ანაზღაურება, დაფარულ იქნება დავის მონაწილე მხრეების მიერ თანაბრად. სასამართლომ უნდა აწარმოოს მისი ყველა ხარჯის აღრიცხვა და მიაწოდოს მხარეებს საბოლოო ანგარიში.

15. წინამდებარე ოქმის ნებისმიერ მხარეს, რომელსაც გააჩნია სამართლებრივი ხასიათის ინტერესი დავის საგნის მიმართ და რომელზეც მოცემული საქმის შესახებ გადაწყვეტილებამ შესაძლოა იქონიოს ზეგავლენა, შეუძლია ჩაერიოს სასამართლო განხილვებში სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.

16. საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი შექმნიდან ხუთი თვის ვადაში, იმ შემთხვევაში თუ ის არ ჩათვლის საჭიროდ გააგრძელოს ეს ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხუთ თვეს.

17. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას თან უნდა დაერთოს მისი დასაბუთება. გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და სავალდებულო დავის მონაწილე ყველა მხარისათვის. აღნიშნული გადაწყვეტილება დაგზავნილ იქნება დავის მონაწილე მხარეებისა და სამდივნოსათვის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ. მიღებულ ინფორმაციას სამდივნო მიაწვდის წინამდებარე ოქმის ყველა მხარეს.

18. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხარეებს შორის სასამართლოს გადაწყვეტილების ინტერპრეტაციასთან ან შესრულებასთან დაკავშირებით შეიძლება წარდგენილ იქნას რომელიმე მხარის მიერ გადაწყვეტილების მიმღები საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართ, ხოლო თუ ამ უკანასკნელის მომსახურებით სარგებლობა შეუძლებელია, ამ მიზნით შექმნილ სხვა სასამართლოს მიმართ, რომელიც შექმნილია პირველის მსგავსად.